ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N21

ქ. წალენჯიხა 21 თებერვალი 2023 წელი

ერთის მხრივ, **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო–საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორი ლანა შენგელიას** (შემდგომში- შემსყიდველი) სახით და მეორეს მხრივ **ი.მ. ემზარი მებონია** (შემდგომში-მიმწოდებელი)სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება -წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.
1.2. შემსყიდველი -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.4. ხელშეკრულების ღირებულება -საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისსრული დაჯეროვანი შესრულებისათვის.
1.5. დღე, კვირა, თვე-კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6. ფორსმაჟორი-მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების გადმოყვანა ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯაღრის უბნიდან ობუჯის N1 საბავშვო ბაღამდე და უკან, ავტომანქანით მომსახურეობის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
2.2. CPV 60100000 კოდით საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1800 (ერთიათას რვაასი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1.შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 01 ივლისამდე, შემსყიდველის მისამართზე: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ობუჯის ადმინისტრაციული ერთეული.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

„შემსყოდველის“ უფლება-მოვალეობა:
6.1 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მომწოდებელს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.
„მომწოდებლის“ უფლება-მოვალეობა:
6.2 მომწოდებელი ვალდებულია ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალება ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.
6.3 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელშემშლელ გარემოებათა შესახებ

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

8.1.ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 9. პირგასამტეხლო

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10(ათი)პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტომდე.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არცერთ მხარეს არა ქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“
ა.ა.ი.პ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
„სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო
დაწესებულებათა მართვის ცენტრი“
საიდენტიფიკაციო კოდი 242741477
მისამართი: გამსახურდიას ქუჩა №9
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი: ლანა შენგელია

Lana Shengelia 62001007087
Digitally signed by Lana Shengelia
Date: 2023.02.21 11:41:29

„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“
ინდ.მეწარმე „ემზარ მებონია“

საიდენტიფიკაციო კოდი **51001003066**
მისამართი: წალენჯიხა
ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი **LBRTGE**22
ანგ. № **GE95LB0112114733110000**

ინდ/მეწარმე: ემზარი მებონია

Emzari Mebonia 51001003066
Digitally signed by Emzari Mebonia
Date: 2023.02.21 11:42:28